დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

რექტორის საბჭოს შესახებ

რექტორის საბჭო

ადმინისტრაციული მართვის კოლეგიური ორგანო, რომელიც განიხილავს რექტორის ქვემდებარე შიდა რეგულაციებს, ბიუჯეტირების გეგმებს, სხვა დოკუმენტებს, ანგარიშებს და განცხადებებს; განიხილავს უნივერსიტეტის საორგანიზაციო ერთეულების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის სფეროების განსაზღვრის შესახებ საკითხებს, ამტკიცებს დეკანის მიერ წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებს; იხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს ფაკულტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამებში რიცხულ სტუდენტთა და რეზიდენტთა აკადემიური მოსწრების და პროფესიული მზადების პროგრესის (მათ შორის სემესტრული), განმეორებითი სწავლების აუცილებლობის, ინვიდუალური ხელშეწყობისა თუ სასწავლო გეგმის დამტკიცების, სწავლის შეწყვეტის (უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნისა და საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიწ) შესახებ.

საბჭოს თავჯდომარეობს რექტორი.

საბჭოს ყავს მუდმივი და მოწვეული წევრები, მდივანი.

მუდმივი წევრები: რექტორი, ვიცე-რექტორები, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, საქმის წარმოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის ადმინისტრატორი, 2 აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი და 4 სტუდენტი (მათგან თითო -თითო სტუდენტი MD პროგრამებიდან და ერთი SYSSA -ს გამგეობის ან მის მიერ დასახელებული საზოგადოების წევრი სტუდენტი);

მოწვეული წევრები, განსახილველი საკითხის შესაბამისად, შეიძლება იყვნენ: სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები ან წარმომადგენლები.

რექტორის საბჭო იკრიბება არანაკლებ 3-ჯერ სემესტრში, რაც არ გამორიცხვას, განსახილველი საკითხების შესაბამისად, უფრო ხშირად შეკრების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრებს უფლება აქვთ საკუთარი აზრი დააფიქსირონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ან თავად იყვნენ განსახილველი საკითხების ინიციატორნი;

საბჭოს გეგმიური შეხვედრის შესახებ წევრებს, მათ შორის მოწვეულ წევრებს, ეცნობებათ სხდომამდე 3 დღით ადრე, მაინც;

საბჭოზე კვორუმი მიიღწევა მუდმივი წევრების ¾ -ის გამოცხადებით და საბჭო გადაწყვეტილებას იღებას დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.